ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

ბრძანება:ბ48. 48223066
თარიღი:02/11/2022

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების

პრივატიზებისათვის ელექტრონული აუქციონის

გამოცხადებისა და გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების

შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის N22 და ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მარტის N31, 2022 წლის 28 ოქტომბრის N126 განკარგულებების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით, დანართი №1-ის შესაბამისად.

2. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით, პრივატიზების შესახებ ინფორმაცია, დანართი №2-ის შესაბამისად.

3. ინფორმაცია განთავსდეს ვებ-გვერდზე www.eauction.ge .

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/.

5. ბრძანება ძალშია გამოქვეყნებისთანავე.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ N25 (+995) 595 95 90 72 ელ. ფოსტა: TSKALTUBO1@GMAIL.COM